სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (რიგგარეშე)
სხდომა №33

<u>დღის წესრიგი</u>

1. ა) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების "აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის შესახებ", დამტკიცება;
   ბ) საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსში მონაწილეთა შეფასებისა და შერჩევის წესის შესახებ (მომხსენებელი სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრი პროფ. ზურაბ ლომსაძე);

2. სტუ-ზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული ფართების იჯარით გაცემის საკითხის დამტკიცება. (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);

3. სტუ-ზე უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული სოფ. საგურამოში მდებარე ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის შენობის სახურავზე არსებული 10 კვ.მ ფართის იჯარით გაცემის საკითხის დამტკიცება. აღნიშნული ფართი გაიცემა გადამცემი ანტენების განთავსების მიზნით, 4 წლის ვადით. საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით. (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);

4. ნაგებობების სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების დამტკიცება. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული "საქონელი და მომსახურების" მუხლში კერძოდ, "სამეცნიერო ხარჯების"(5500 ლარი) ეკონომიიდან 1350 ლარი გამოყენებული იქნას შენობა-ნაგებობების დაზღვევისათვის, ხოლო 3450 ლარი გამოყენებულ იქნას ჰოლანდიასა და გერმანიაში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, მივლინების თანხების დასაფარავად. (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);

5. სტუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის მთავარი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეულის დამატების საკითხის დამტკიცება (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);

6. მიმდინარე საკითხები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 22 მაისის სხდომის
ოქმი №33

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 71 წევრიდან, ესწრებოდა 57. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგი პრაქტიკულად იგივე დარჩა, რადგან წინა სხდომაზე არც ერთი საკითხი არ დამტკიცებულა (იხ. დანართი). აღნიშნა, რომ, რადგან სხდომა სხვა დღეს და სხვა ნომრით ტარდება, აუცილებელია დღის წესრიგის ხელახალი კენჭისყრით დამტკიცება.

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

სპიკერმა განაცხადა, რომ ხმის დამთვლელი კომისიის წევრები, ასოც. პროფ. თალიკო ჟვანია და პროფ. გენადი იაშვილი საპატიო მიზეზით ვერ ესწრებიან სხდომას, ამიტომ მათ ნაცვლად ხმის დამთვლელი კომისიის წევრებად დასახელდა პროფ. მალხაზ ხუციშვილი, პროფ. მზია მილაშვილი და სტუდენტი პაატა მალაზონია.

განახლებული ხმის დამთვლელი კომისია დამტკიცდა ერთხმად

სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე – დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ დღის წესრიგის პირველ საკითხს (იხ. დანართი 1), რომელიც განხილული იყო წინა სხდომაზე (სხდომა №32, 20 მაისი 2009 წ.) – ა) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების "აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის შესახებ", ბ) "საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსში მონაწილეთა შეფასებისა და შერჩევის წესი". გთხოვთ, აღნიშნულ საკითხებს განუხილველად ვუყაროთ კენჭი. ეს საკითხები პრაქტიკულად განხილული იყო წინა სხდომაზე, მაგრამ იმის გამო, რომ საბჭოს წევრებმა კენჭისყრამდე დატოვეს დარბაზი, ქვორუმი არ შედგადა კენჭისყრა ჩაიშალა. დღეს პირდაპირ ვაყენებ ამ საკითხებს კენჭისყრაზე დასამტკიცებლად.

წარმოდგენილ საკითხებს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 22 მაისის №33 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 22 მაისის №33 სხდომაზე, სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრმა პროფ. ზურაბ ლომსაძემ, წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა: ა) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება "აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის შესახებ", ბ) საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსში მონაწილეთა შეფასებისა და შერჩევის წესის შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს საარჩევნო დებულება "აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის შესახებ".

სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე – გადავიდეთ დღის წესრიგის მეორე საკითხზე (იხ. დანართი 2) – სტუ-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული ფართობების იჯარით გაცემის საკითხის დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – გაიჯარებულ ობიექტებს უმთავრდებათ ხელშეკრულების ვადა და საჭიროა მათი თავიდან გაიჯარება.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ეს ობიექტები გაიჯარებულია ძალიან იაფად, არ უნდა დავუშვათ მათი გაიჯარება იგივე ფასებში. უნდა მოხდეს მათი დაახლოება საბაზრო ფასთან.

პროფ. ნოდარ ქაჯაია – სამინისტრო გვიწესებს ფასს?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ჩვენ ვადებთ საწყის საორიენტაციო ფასს, სამინისტრო კი საბოლოო ფასს გვიმტკიცებს. ზოგჯერ ეს იმაზე მეტიც არის, რასაც ვვარაუდობთ.

სპიკერი – გთხოვთ, კენჭი ვუყაროთ, სტუ-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული გასაიჯარებელ ფართობებს, ერთი შენიშვნით: სანამ ფართობები გაიჯარდება, დავაფიქსიროთ მათი ფასები.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 22 მაისის №33 სხდომის

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 22 მაისის №33 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი, სტუ-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული ფართობების იჯარით გაცემის საკითხის დამტკიცების შესახებ.

საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა შემდეგი ობიექტების გაიჯარების საკითხი:

1. *კოსტავას №77-ში მდებარე IV სასწავლო კორპუსის მე-4 სართულზე არსებული 36,75კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი. ფართობი გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (კავშირგაბმულობის სისტემების პროექტირება, მონტაჟი), 4 წლის ვადით.*
2. *კოსტავას №68-ში მდებარე პირველი სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული 62,08კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი. გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (ლითონის ნაკეთობების დამზადება), 4 წლის ვადით.*
3. *კოსტავას №77-ში მდებარე ადმინისტრაციული კორპუსის სარდაფ სართულზე არსებული 120 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი. გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (ლითონის ნაკეთობების დამზადება), 4 წლის ვადით.*
4. *კოსტავას №77-ში მდებარე ადმინისტრაციული კორპუსის სარდაფ სართულზე არსებული 386.0კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი. გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (კვების ობიექტი) 4 წლის ვადით.*
5. *კოსტავას ქ№68-ში მდებარე პირველი სასწავლო კორპუსის მე-4 სართულზე არსებული 291კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი. გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (კვების პროდუქტების წარმოება) 4 წლის ვადით.*
6. *კოსტავას ქ№77-ში მდებარე ადმინისტრაციული კორპუსის პირველ სართულზე არსებული 61,0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი. გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით, 4 წლის ვადით.*
7. *კოსტავას №77-ში მდებარე მე-8 სასწავლო კორპუსის მე-6 სართულზე არსებული 16 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართობი. გაიცემა საოფისე საქმიანობის მიზნით, 4 წლის ვადით.*

საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით.

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მესამე საკითხზე (იხ. დანართი 3) – სტუ-სთვის უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული, სოფ. საგურამოში მდებარე ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის შენობის სახურავზე არსებული 10 კვ.მ ფართობის იჯარით გაცემის საკითხის დამტკიცება. აღნიშნული ფართ0ბი გაიცემა გადამცემი ანტენების განთავსების მიზნით, 4 წლის ვადით. საწყისი წლიური საიჯარო ქირა

განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – საუბარია სტუ-სთვის უზუფრუქტის ფორმით გადმოცემულ, სოფ. საგურამოში მდებარე ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის შენობის სახურავზე არსებულ 10 კვ.მ ფართობზე, რომელიც გაიცემა გადამცემი ანტენების განთავსების მიზნით, 4 წლის ვადით, საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით.

სპიკერი – გთხოვთ, კენჭი ვუყაროთ სტუ-სთვის უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული სოფ. საგურამოში მდებარე ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის შენობის სახურავზე არსებული 10 კვ.მ ფართობის იჯარით გაცემის საკითხს.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა: მომხრე – 56, წინააღმდეგი – 0, თავი შეიკავა – 1.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 22 მაისის №33 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 22 მაისის №33 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი, სტუ-სთვის უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული, სოფ. საგურამოში მდებარე ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის შენობის სახურავზე არსებული 10 კვ.მ ფართობის იჯარით გაცემის შესახებ. აღნიშნული ფართობი გაიცემა გადამცემი ანტენების განთავსების მიზნით.

საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-სთვის უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული სოფ. საგურამოში მდებარე ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის შენობის სახურავზე არსებული 10 კვ.მ ფართობის გაიჯარების საკითხი. აღნიშნული ფართობი გაიცემა გადამცემი ანტენების განთავსების მიზნით, 4 წლის ვადით. საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით.

სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე – საკითხი დამტკიცებულია. გადავიდეთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე (იხ. დანართი 4) – ნაგებობების სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის

ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების დამტკიცება. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ "საქონელი და მომსახურება" მუხლში, კერძოდ, "სამეცნიერო ხარჯების" (5500 ლარი) ეკონომიიდან 1350 ლარი გამოყენებული იქნას შენობა-ნაგებობების დაზღვევისათვის, ხოლო 3450 ლარი – ჰოლანდიასა და გერმანიაში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად და მივლინების თანხების დასაფარავად – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – აღნიშნული საკითხი ეხება "ნაგებობების სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის" ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების განხორციელებას. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ "საქონელი და მომსახურება" მუხლში, კერძოდ, "სამეცნიერო ხარჯების" (5500 ლარი) ეკონომიიდან 1350 ლარი გამოყენებული იქნას შენობა-ნაგებობების დაზღვევისათვის, ხოლო 3450 ლარი – ჰოლანდიასა და გერმანიაში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად და მივლინების თანხების დასაფარავად. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს არის ამ ინსტიტუტის ბიუჯეტი და არანაირად არ ეხება ჩვენ ბიუჯეტს.

სპიკერი – გთხოვთ, ვუყაროთ კენჭი "ნაგებობების სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის" ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების განხორციელებას.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 22 მაისის №33 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 22 მაისის №33 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი, "სტუ-ს ნაგებობების სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის" ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების დამტკიცების შესახებ. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ "საქონელი და მომსახურება" მუხლში კერძოდ, "სამეცნიერო ხარჯების" (5500 ლარი) ეკონომიიდან 1350 ლარი – შენობა-ნაგებობების დაზღვევისათვის, ხოლო 3450 ლარი გამოყენებულ იქნეს ჰოლანდიასა და გერმანიაში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად და მივლინების თანხების დასაფარავად.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დამტკიცდა სტუ-ს ნაგებობების სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვაში შესატანი ცვლილება,

ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ "საქონელი და მომსახურება" მუხლში, კერძოდ, "სამეცნიერო ხარჯების"(5500 ლარი) ეკონომიიდან 1350 ლარი გამოყენებულ იქნეს შენობა-ნაგებობების დაზღვევისათვის, ხოლო 3450 ლარი – ჰოლანდიასა და გერმანიაში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად და მივლინების თანხების დასაფარავად.

სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე – გადავიდეთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე (იხ. დანართი 5) – სტუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის მთავარი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეულის დამატების საკითხის დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – სტუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის საჭიროა მთავარი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეულის დამატება.

პროფ. თეიმურაზ ჭეიშვილი – პირველი აგვისტოსათვის უნდა შედგეს ახალი სტრუქტურა, რა საჭიროა ახლა ახალი შტატის დამატება?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – რექტორთან ერთად ივნისის თვის ბოლოს შევჯერდებით საშტატო განრიგზე, რომელიც მორგებული იქნება სტუ-ს მოთხოვნებს.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ეს ერთი შტატი დასაშვებია, მაგრამ შემოიტანეთ თანამშრომლების სამსახურში მიღების წესი და ი დავამტკიცოთ.

სპიკერი – გთხოვთ, კენჭი ვუყაროთ სტუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის მთავარი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეულის დამატების დამტკიცების საკითხს.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა: მომხრე – 56, წინააღმდეგი – 0, თავი შეიკავა – 1.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 22 მაისის №33 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 22 მაისის №33 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი, სტუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის მთავარი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეულის დამატების დამტკიცების შესახებ.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დამტკიცდა სტუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკას დაემატოს მთავარი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული.

მიმდინარე საკითხები:

პროფ. გოგი აბრამიშვილი – აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსში მონაწილემ უნდა შეავსოს CV-ანკეტა. აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების ერთობლივმა კომისიამ უდიდესი შრომა ჩაატარა და წარმოგვიდგინა ფორმა. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ქულები არ უნდა დაიწეროს. პროფ. გიორგი აბრამიშვილმა პროექტორით წარმოადგინა CV-ანკეტის ფორმა და თქვა, რომ ეს ფორმა დაეგზავნებათ ფაკულტეტებს და ისინი დაურიგებენ კონკურსანტებს.

პროფ. მარინა ქურდაძე – განცხადებაში დავუმატოთ მიმართულება.

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი /ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი / გინა გურეშიძე/